ხაშურის მოამბე

№1 (82) 11 იანვარი, ოთხშაბათი, 2017 წელი

...ალილო, შობა მოვიდა, სითბო და სიკეთე დაგვებედება!..

ალილო, უძველესი საშობაო ტრადიცია, იგი საქართველოში V-VI საუკუნიდან იღებს სათავეს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე საქართველოს ყველა კუთხეში საშობაო მსვლელობებით აღინიშნებოდა. ამ დღეს განსაკუთრებული განწყობა იგრძნობოდა მართლმადიდებელ მრევლში. წირვის დასრულების შემდეგ, მგალობლები ჩამოივლიდნენ უბან-უბან, ჩერდებოდნენ თითოული ჭიშკრის წინ და ყველას სიმღერით ულოცავდნენ ქრისტეშობას:

"ალილო, ალილო, შობა თენდება,
ახალი წლის სიხარულს რა შეედრება.
რეკავენ ზარები, დილა თენდება,
სითბო და სიკეთე დაგვებედება.

ალილო...
ალილო...
ალილო..."

მგალობლებს თან დაჰქონდათ კალათები, რომლებსაც მოსახლეობისგან შემოწირული პროდუქტებით, ტკბილეულითა და სხვადასხვა საჩუქრებით ავსებდნენ. უდიდესი მადლი იყო ჩადებული ამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციაში და შობის დღესასწაულთან ერთად ქველმოქმედების ზეიმიც იყო ეს - საშობაო მსვლელობის მონაწილეები, შეგროვილ შესაწირს, დღის ბოლოს გაჭირვებულ ოჯახებს გადაცემდნენ.

გასაბჭოების შემდეგ ეს ტრადიცია აიკრძალა საქართველოში და ამ საუკუნეში იგი ისევ აღდგა საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მისი უშუალო ინიციატივით. მართლაც შთამბეჭდავი სანახაობაა სტიქაროსნები თეთრი ბაირაღებითა და დროშებით, სამღვდელოება ლოცვა-კურთხევით, ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდები და განსაკუთრებული ამაღლებული გრძნობა გეუფლება, როცა ზეიმში მონაწილე პატარა ანგელოზების რიგი ჩამოივლის.

ჩვენს მუნიციპალიტეტშიც უკვე ტრადიციად იქცა შობის დღეს ალილოობა. მსვლელობა ამჯერადაც სურამიდან დაიწყო და მას სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე სვიმეონი უძღვება. მღვდელმთავრებთან ერთად მასში მრავალი მორწმუნე იღებდა მონაწილეობას. სურამიდან ხაშურამდე, რომელიც ალილოს მონაწილეებმა ფეხით განვლეს, მოსახლეობამ მრავალფეროვანი შესაწირი გაიღო. ხაშურის ცენტრში მსვლელობას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც შეუერთდა. ამ ულამაზესი დღესასწაულის ბოლოს საჩუქრები, ტკბილეული, პროდუქტები თუ ფულადი შემოწირულობანი სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და ბავშვთა სახლებს გადაეცა.

დაჯილდოვეს წარმატებული სპორტსმენები

ახალი წლის წინა დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის დარბაზში, წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება გაიმართა. სპორტსმენები ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა თენგიზ გეგუჩაძემ, აკაკი პაპავამ დიმიტრი ჭანტურიამ და გოჩა ცირდავამ დააჯილდოვეს.

2016 წელი ხაშურელი სპორტსმენებისთვის ნამდვილად ნაყოფიერი აღმოჩნდა. წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა ნორჩმა ფეხბურთელებმა. „იმედის“ თასის გათამაშებაში, 2001-2002 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ხაშურის გუნდმა (მწვრთნელები ვეფხვია გელაშვილი, ზურაბ ლომიძე, ბესიკ ვეშაპიძე). ჟიული შარტავას სახელობის თასის გათამაშებაში კი პირველობა არავის დაუთმო ხაშურის 2004 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა

გუნდმა(მწვრთნელები: ლევან ლომიძე, ავთო ლომიძე, გიორგი ჩადუნელი); 2005 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდმა კი მესამე საპრიზო ადგილი აიღო ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ტურნირზე (მწვრთნელები: ლევან ლომიძე, ავთო ლომიძე, გიორგი ჩადუნელი). მეორე საპრიზო ადგილი ერგო ხაშურის 2006 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ნაკრებს ნიაზ ძიაპშიპას სახელობის ჩემპიონატზე. (მწვრთნელები: მევლუდ ლომიძე, ვახტანგ ჯაფარაშვილი) ჩემპიონები გახდნენ ხაშურის 2007 წელს დაბადებული ფეხბურთელთა გუნდის წევრები. მათ გიგა ნორაკიძის სახელობის თასი მოიპოვეს (მწვრთნელები: მევლუდ ლომიძე, ვახტანგ ჯაფარაშვილი). წარმატებულ ფეხბურთელებს თასები და მედლები გადაეცათ.

წარმატებათა ტრადიციას აგრძელებენ ჩვენი მოჭიდავეებიც. იმ დღეს ჯილ-

დოები გადაეცათ საქართველოს ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში თეიმურაზ ნოზაძეს და მის მწვრთნელს მალხაზ ნოზაძეს, საქართველოს ჩემპიონს ჭიდაობა სამბოში გიორგი ნასყიდაშვილს და მის მწვრთნელ ბუხუტი ბუხრიკიძეს. დაჯილდოვდნენ მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში ლუკა მაისურაძე და მისი მწვრთნელი ბეგლარ ხარშილაძე. ძალოსნობაში მიღწეული წარმატებისთვის (მეორე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე) დაჯილდოვდნენ ძალოსანი თორნიკე ტაბატაძე და მისი მწვრთნელი ზაურ ღონღაძე. ჯილდო გადაეცა კალათბურთელ მარიამ ღარიშვილს და მის მწვრთნელებს, ირაკლი ბითაძეს და ავთანდილ ხვედელიძეს.

მუნიციპალიტეტმა ჯილდოები გადასცა ასევე დამსახურებულ მწვრთნელებს: ვახტანგ კვინიკაძეს, არჩილ მამულაშვილს, მალხაზ ნოზაძეს, ბუხუტი ბუხრიკიძეს და ბეგლარ ხარშილაძეს.

სურამში ახლადრეაბილიტირებული სადაბო პოლიკლინიკა გაიხსნა

საზეიმო ლენტი საქართველოს პარლამენტის წევრმა ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა გაჭრეს.

პოლიკლინიკის რემონტისთვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 95 980 ლარი გამოყო, სამუშაოები 2016 წლის ოქტომბრის თვეში დაიწყო და მოხდა შენობის მთლიანი რეაბილიტაცია.

სურამი უამრავ დამსვენებლებს იღებს ზაფხულის თვეებში. მათთვის და, რა თქმა უნდა, სურამის მოსახლეობისთვის, მრავალ უხერხულობას ქმნიდა მოძველებული შენობა.

ამიერიდან სურამელი პაციენტები და სურამის სტუმრები კომფორტული პოლიკლინიკით ისარგებლებენ, ექიმებისთვის კი სამუშაო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება.

შეხვედრა მინისტრთან

სურამის I საჯარო სკოლის VIII კლასისი მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდებათ ეს დღე, დღე როდესაც მოსწავლეები სტუმრად იმყოფებოდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრთან. ბატონმა გიგლა აგულაშვილმა „გარემოზე ზრუნვისათვის“ ინიციატორი მე-8 კლასის მოსწავლე გურამ თოფურია და მისი მეგობრები კლასის დამრიგებელთან და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთან ერთად, „მწვანე ჩაიზე” მიიპატიჟა. გურამ თოფურიამ პრეზენტაცია გააკეთა თემაზე „როგორ დავიცვათ სურამი და სურამულა დაბინძურებისაგან”. გაიმართა დისკუსია მინისტრსა და მოსწავლებსა შორის. შეხვედრა საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მინისტრმა „გარემოზე ზრუნვისათვის”. მადლობის სიგელები გადასცა თითოეულ მოსწავლეს და სოციალური ქსელის „ფეისბუქის” საშუალებით დაუმეგობრდა სურამის I საჯარო სკოლას.

მადლობა მინისტრს და მასთან მყოფ თანამშრომლებს გულთბილი მიღებისათვის და ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტს ფინანსური დახმარებისათვის.

სკოლის დირექცია

- უპატრონო ძაღლები -

ერთი წლის გადასახედიდან

დამეთანხმებით, ქუჩებში უპატრონო ძაღლების რიცხვმა, საგრძნობლად იმატა. მიუხედავად შესაბამისი სამსახურების თავდაუზოგავი შრომისა, ფაქტია, პრობლემა, ისევ პრობლემად რჩება. უპატრონო ძაღლებს ყველგან შეხვდებით, ქუჩებში, კვების ობიექტების წინ, ან უბრალოდ, იქ, სადაც სანიტარულ ნორმებს თავად მოსახლეობა არ იცავს. როგორც აღმოჩნდა, მათ რიცხობრივ მატებას, სხვა ქალაქებსაც უნდა ვუმადლოდეთ. ყოველ დილით, ავტობანზე ჩამომდგარ მატარებელს, ათეულობით მაწანწალა ძაღლი შემოჰყავს ქალაქში, რომლის აკრძალვა, ან რეგულირებაც, სამწუხაროდ, არ ხდება. ქუჩა მათთვის ერთადერთი თავშესაფარი და გადარჩენის საშუალებაა. ა(ა)იპ-ი "სავანეს" ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის განყოფილების უფროსმა დიმიტრი ზავარინმა განვლილი ერთი წელი შეაჯამა, ისაუბრა პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებსა და იმ ინოვაციაზე, რაც შედარებით ეფექტური და უმტკივნეულო პროცესია, იმ პირობებში, როდესაც ძაღლების არც ევთანაზიის და არც თავშესაფარში ხანგრძლივად დატოვების შესაძლებლობა არ არსებობს:

–სამსახური თითქმის ერთი წელია შეიქმნა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად ვეწყობით და ვვითარდებით. მიუხედავად ჩვენი მონდომებისა, ძაღლების რაოდენობა არ შემცირებულა. ამიტომ, ძირითადად, ორიენტირებული ვართ დედალი ძაღლების სტერილიზაციაზე, რადგან ჩვენ არც ევთანაზიის და არც მათი თავშესაფარში დატოვების შესაძლებლობა არ გვაქვს. ხშირია სხვა ქალაქებიდან უპატრონო ძაღლების ჩამოსმის ფაქტები, რაც გვიორმაგებს საქმეს, გამოდის, რომ ადგილობრივი ხარჯებით, სხვა ქალაქებსაც ვემსახურებით. კარგი იქნება, თუ შეიქმნება ისეთი სამსახური, რომელიც კონტროლს გაუწევდა ამ სიტუაციას. გარდა ამ ფაქტისა, ძალიან პრობლემატურია მოსახლეობის ან ორგანიზაციების მხრიდან ნარჩენების უკონტროლოდ გამოტანა ქუჩაში, რაც ძაღლების თავშეყრის ადგილად იქცევა ხოლმე. გვეხმარება სურსათის უვნებლობის სამსახური უფასო ვაქცინებით, რაც ჩვენ სერვისს ყველასთვის ხელმისაწვდომს და უფასოს ხდის. ჩვენი საქმიანობა მხოლოდ ქალაქს არ შეეხება, ვემსახურებით სურამსაც და სოფლებსაც. ამ ეტაპზე 25 ძაღლი გვყავს, 10 ახლად ნაოპერაციებია. გვყავს მეცხვარის ჯიშის ძაღლი, რომელსაც საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა. ამ ეტაპზე თავს კარგად გრძნობს და თუ მსურველი გამოუჩნდება, სურვილი გვაქვს გავასხვისოთ. მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს სტერილიზაციის ოპერაციებთან დაკავშირებით. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული კლინიკის მთავარი ექიმი მარიკა ჩხიტიშვილი ორი კვირის მანძილზე, თავის სტუდენტებთან ერთად ჩამოდიოდა ჩვენთან და ატარებდნენ ოპერაციებს. ეს იყო სტერილიზაციის ოპერაციები თანამედროვე მეთოდებით, რადგან ადრე ჩვენთან არასტანდარტულად კეთდებოდა ეს ოპერაციები. მთლიანობაში 29 ძაღლს ჩაუტარდა ოპერაცია. ამ ეტაპზე, ხდება ჩვენი თანამშრომლის გადამზადება, რომ ჩვენთანაც მოხდეს ამ ოპერაციის გაკეთება, რადგან საკმაოდ რთული და სპეციფიკური ოპერაციაა, დიდი ყურადღება ეთმობა სტერილიზაციას, რისთვისაც ყველა ხელსაწყო გვაქვს. გადამზადებული თანამშრომელი უკვე ახალი წლიდან დაიწყებს ოპერაციებზე მუშაობას.

გარდა ჩვენი სამსახურის აქტიურობისა და მცდელობისა, ამ პრობლემასთან ბრძოლა მისახლეობასთან ერთად უნდა ხდებოდეს, რადგან ორივე მხარის ჩართულობა მოიტანს შედეგს. სასურველი იქნება, სკოლებშიც მოხდეს საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, რათა იცოდნენ ძაღლებთან ქცევის წესები.

თ. ჯავახიშვილი

კერძო საკუთრების საკითხი და პრობლემა საქართველოს კონსტიტუციაში

ყველა ლიბერალური ღირებულება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, როგორც იდეებისა და კონცეფციების მთლიანი სისტემა. ამ სისტემაში კი უმთავრესი მაინც თავისუფლებაა. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკა, პოლიტიკა, სულიერი ცხოვრება, არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ იდეოლოგიის სახელწოდება ლათინური „ლიბერალის"-დან წარმოიშვა, რაც ქართულად „თავისუფალს" ნიშნავს.

ადამიანის თავისუფლება, პირველ რიგში, უნდა აისახოს მისი პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებაზე, აგრეთვე, "ბუნებრივ უფლებებზე", რომელთა რიგშიც, კერძო საკუთრებას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ადამიანის მრავალგანზომილებიან თავისუფლებაში, კერძო საკუთრებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რადგან ის განიხილება, როგორც თავისუფების გარანტი და საფუძველი.

ლიბერალიზმმა კერძო საკუთრება და თავისუფლება ორ ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებად აღიარა, რომლებიც ერთმანეთს განაპირობებენ. ჰეგელისათვის საკუთრება იყო „ადამიანის თავისუფლება, რომელიც მოვლენათა სამყაროში რეალიზდება".

მხოლოდ კერძო საკუთრება ხდის პიროვნებას თავისუფალს და ამასთან ერთად, აყალიბებს ინდივიდუალიზმს.

არ არსებობს თავისუფლება კერძო საკუთრების გარეშე და კერძო საკუთრება თავისუფლების (გარეშე) თვინიერ საკუთრებაში არ იგულისხმება მხოლოდ ხელშესახები, კონკრეტული საგნები, როგორც ეს ბევრს მიაჩნდა.

ფიზიკურის გარდა, ადამიანის საკუთრებაა მისი აზრები, იდეები, რწმენისა და აღმსხარებლობის საკითხები და მათი გამოხატვის საშუალებები.

საკუთრებასთან დაკავშირებით მაკიაველი თვლიდა, საკუთრების უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის პიროვნების და ისტორიის მამოძრავებელი ძალა არის, საკუთრების შეძენა და შეძენილის დაცვა.

მაკიაველი საკუთრების უფლებას სიცოცხლის უფლებაზეც მაღლა აყენებდა „მაშინაც კი, როცა მთავარი ვინმეს სიკვდილით დასჯას აპირებს, მას შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი, თუკი საამისოდ საკმარისი სამხილი მოეპოვება, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისაგან". [1; 181].

კერძო საკუთრების უფლება პირველად რომის სამართალმა დაამუშავა „ინდივიდუალურ ანუ კერძო საკუთრებას წინ უძღოდა საერთო ანუ საზოგადო საკუთრება. ძველ რომში საკუთრების შემდეგი სახეობები არსებობდა, პეტორული ანუ „ბონიტარული" საკუთრება, პროვინციული საკუთრება, პერეგრინების საკუთრება" [2; 52-53] და ა.შ.

საკუთრების უფლება, რომ მნიშვნელოვანია, ამაზე მუსლიმანური სამართალიც მეტყველებდა და მკაცრად იცავდა მას. მაგ; „ის ვინც პირველად ჩაიდენდა ქურდობას, მარჯვენა ხელის ოთხ თითს მოკვეთდნენ, მეორეჯერ ქურდობის შემთხვევაში ქურდს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ.[3; 54].

საკუთრების უფლება, ისტორიულად, ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი უფლებაა. ჩვენ მას ვხვდებით 1215 წლის დიდი ქარტიის მე-10 მუხლში. ასევე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-5 დამატებაში და 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქეების უფლებების ფრანგული დეკლარაციის მე-2 და მე-17 მუხლებში, სადაც იგი მიჩნეულია როგორც "ხელშეუხებელი და წმინდათაწმინდა" უფლება, ასევე, 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლში. უფრო ხშირად, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთრების უფლების კონსტიტუციურ დაცვას.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიას აქ საკუთრების ხსენების ფაქტები VI საუკუნიდან მოგვეპოვება.

საქართველოს კონსტიტუციით იყო იმის მცდელობა, რომ საკუთრების უფლება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, სახელმწიფოს ძირითადი კანონით განსაზღვრულიყო, მაგრამ როგორც ვიცით, 1921 წლის კონსტიტუციამ დიდხანს ვერ იარსება და ეს უფლებაც ფაქტიურად ვერ განხორციელდა.

კონკრერტულად, საუბარი იყო 1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლში საკუთრების უფლებაზე, მაგრამ ეს მუხლი მხოლოდ იმას განსაზღვრავდა, თუ როდის შეიძლებოდა საკუთრების უფლების შეზღუდვა, ამასთანავე, არ იძლეოდა არავითარ გარანტიას საკუთრების უფლების დაცვაზე.

კერძოდ, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში ნათქვამი იყო, რომ საკუთრების იძულებით ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით, ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური, თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

მაგრამ ტერმინი „სათანადო საფასური" ბუნდოვანი ტერმინია და არ არის განმარტებული, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ნაგულისხმები „სათანადო საფასურში".

საქართველოში საკუთრების უფლება ქვეყნის ძირითადი (1995 წლის) კანონით, კონსტიტუციით არის განმტკიცებული, კერძოდ, კონსტიტუციის 21-ე მუხლში მოცემული კერძო საკუთრების უფლება. ერთი მხრივ, არის საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და მეორე მხრივ, საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტია.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, საკუთრების ჩამორთმევის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებით განპირობებული ანუ კონსტიტუციის ენით, რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი საჭიროება. შინაარსობრივად ეს პუნქტი კონსტიტუციაში განმარტებული არ არის აბსტრაქტულად იგი მრავალ მიზანს და გარემოებას შეიძლება მოიცავდეს.

კონკრეტულად კი, კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია საკუთრების ჩმორთმევა მიზანშეწონილი.

საკუთრების უფლება ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საკუთრების ხელშეუხებლობის საჯარო ხელისუფლების მხრიდან (სტატუს ნეგატივუს), ხოლო მეორე მხრივ, იგი განამტკიცებს საკუთრების ინსტიტუტის ობიექტურ-სამართლებრივ გარანტიას. სწორედ მიუთითებს პროფესორი ა. დემეტრაშვილი, რომ ..საკუთრება პირველ რიგში, სამართლებრივი კატეგორიაა და შესაბამისად, საკუთრების ძირითადი უფლების შინაარსის განსაზღვრაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი საკანონმდებლო დაკონკრეტება. საკუთრების ძირითადი უფლების ერთ-ერთ კომპონენტად უნდა განვიხილოთ მემკვიდრეობის ძირითადი უფლება, საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობენ, როგორც ფიზიკური ისე იურუდიული პირები" [4; 83].

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები განსაზღვრავენ საკუთრების უფლების შეზღუდვის უფლებებს, კერძოდ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში და გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, საკუთრების ჩამორთმევას „სამართლიანი ანაზღაურების" საფუძველზე. პირველ შემთხვევაში „შეზღუდვა" და მეორე შემთხვევწაში „ჩამორთმევა" განსხვავებული ტერმინებია და არ შეესაბამება საკუთრების უფლების ხელშეუვალობის პრინციპს.



საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ საკუთრების გარანტია გულისხმობს, არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან უარყოფითი ზემოქმედებისაგან თავდაცვას, არამედ მისი მხრიდან პოზიტიური მოქმედებების განხორციელებას. [5; 16-11].

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პრაქტიკაში არსებობს პრეცედენტი, კერძოდ, სპორონგისა და ლორონტის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ "კერძო საკუთრების შეზღუდვამ მესაკუთრეებს თავისუფლების განსაზღვრული დონე უნდა დაუტოვოს, სხვაგვარად, შეზღუდვა საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ხდება" [6; 15].

ანალოგიურია ამერიკის კონსტიტუციის მე-5 შესწორება, რომ „შეზღუდვამ საკუთრება არ უნდა მოსპოს".

ამერიკის კონსტიტუციის მე-5 შესწორებაში აღნიშნული დებულება, გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებაში, როცა საქმე შეეხება საკუთრების შეზღუდვას.

ასევე, მნიშვნელოვანია საკითხი, როცა საქმე საკუთრების „ჩამორთმევას ეხება მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ მაქსიმალური ანაზღაურებით (მხედველობაში გვაქვს საკუთრების საბაზრო ფასი) უნდა მოახდინოს მესაკუთრის დაკმაყოფილება, რათა მესაკუთრემ შეძლოს ჩამორთმეული საკუთრების ტოლფასი საკუთრებით ჩანაცვლება.

ჩვენი აზრით ეს იქნება სამართლიანი ანაზღაურება, რითაც დაცული იქნება მოქალაქის უფლებები საკუთრებაზე.

„ბლექსტონს მიაჩნდა, რომ სამოქალაქო თავისუფლება იგივეა, რაც ბუნებრივი თავისუფლება, ოღონდ მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც მას ადამიანური კანონები ზღუდავენ და რა ზომითაც იგი აუცილებელი და საჭიროა საზოგადო სიკეთისათვის" [7; 125].

„კანონი უზრუნველყოფს არა არსებულ უფლებებს, არამედ მას აინტერესებს, რომელ სფეროში, დაადგინოს მოვალეობები, აუცილებლობის შემთხვევაში შეზღუდოს მოქმედების შესაძლებლობანი. უფლებები წარმოიშობა, უკიდურეს შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულირების წყალობით. ეს სრულიად გასაგებია ისეთ სამყაროში, სადაც ყველა არსებითი ინსტიტუტი, მათ შორის, ბლექსტონის საკუთრების უფლება, საბოლოოდ წარმოადგენს სახელმწიფოს ან ადამიანის ტრადიციის, ან მოსამართლეების ქმნილებას" [8; 340].

საკუთრების თავისუფლება, შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ, იმდენად, რამდენადაც ეს საზოგადოების თვალსაზრისითაა საჭირო, შეზღუდვის ამ შესაძლებლობას არ უარყოფდნენ ადამიანის უფლებათა რევოლუციური დეკლარაციები, რომლებიც მიუთითებდნენ უფლებებისა და თავისუფლებების რეგულირების პრიორიტეტულობაზე.

კლასიკური კონსტიტუციონალიზმი ცდილობს თავისუფლება შეათნხმოს საზოგადოებრივი სიმშვიდის აუცილებლობასთან, რომელიც სახელმწიფოში ცხოვრებას უკავშირდება.

"კონსტიტუციური აღიარებისა და კონსტიტუციებში შეტანის დროს, საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობიანობის ამ მოთხოვნას, ერთი შეხედვით, მხედველობაში ნაკლებად იღებენ, ვიდრე ამას ბლექსტონის პოზიტივიზმი აკეთებდა. მხოლოდ დათქმებით აღიარეს, რომ საზოგადოებრივ ინტერესებზე მითითებით, შეიძლება უარი ითქვას ადამიანის უფლებათა განხორციელებაზე" [9; 341].

როდესაც კანონი არღვევს მოქალაქის საკუთრების უფლებას, კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებაში, ასეთ შემთხვევაში მოქალაქე სასარჩელო განცხადებით მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რაც ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. ასეთ შემთხვევაში, როგორც მიუთითებს პროფესორი ბესარიონ ზოიძე, „სასამართლომ გამწესრიგებელ სხდომაზე უნდა გადაწყვიტოს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: არის კი სახეზე ის ძირითადი უფლება, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს? თუკი არსებობს ასეთი უფლება, მაშინ უნდა გაირკვეს, არის კი მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება? [10; 6].

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტიდან, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სარჩელის შეტანის უფლებას აძლევს იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი გვეუბნევა, რომ კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებული უნდა იყოს, სადაც აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის აზრით ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას.

(დასასრული IV გვერდზე)

კერძო საკუთრების საკითხი და პრობლემა საქართველოს კონსტიტუციაში

(დასასრული)

საკონსტიტუციო სასამართლოს თავის განჩინებაში რამოდენიმეჯერ აქვს მითითებული, რომ კონსტიტუციური სარჩელიდან არ იკვეთება მოსარჩელის მოთხოვნის შემხებლობა კონსტიტუციის ნორმებთან. ასეთ შემთხვევაში თუკი არ არის მოთხოვნა კონსტიტუციასთან კავშირში, არც სარჩელია სახეზე.
რამოდენიმე შემთხვევაში მართალია, სასამართლოს დაუფიქსირებია აღნიშნული კავშირი, მაგრამ უთქვამს, რომ არსებული მტკიცებულებიდან არ გამოჩნდა უფლების დარღვევის ფაქტი, ასეთ ვითარებაში, არც შეფასების საგანია სახეზე, შეფასება ხდება მხოლოდ უფლების ხელყოფის ფაქტისა.
აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ პროფესორ ბ. ზოიძის აზრი, რომ: „უფლების კონსტიტუციასთან მიმართება მაშინ შეიძლება გახდეს სასამართლო შეფასების საგანი, როდესაც სახელმწიფო სადავო ნორმით გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას მის მიმართ. ამდენად, არ არის უარყოფითი დამოკიდებულება, არც დავის საგანია სახეზე". [11; 7]
ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევაში, სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად, იმიტომ, რომ მოსარჩელეებმა საკმარისი დამაჯერებლობიუთ ვერ აჩვენეს თავისი უფლებათა სავარაუდო დარღვევა.
საქართველოს კონსტიტუციის 21-2 მუხლთან მიმართებაში კანონმდებელი კომპენსაციის შემთხვევაში „აწონ-დაწონის" მოთხოვნას ექვემდებარება, ამიტომ ის ვალდებული არ არის საბაზრო ღირებულების მიხედვით დააწესოს საკუთრების რაიმე ნომინალური ფასი. მან უფრო საქმის ფაქტობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე, ანუ კონკრეტული სიტუაციის თავისებურებებისა და დროის შესაბამისად უნდა განსაზღვროს საკუთრების ღირებულება. ზემონახსენები „აწონ-დაწონის" მოთხოვნის საფუძველძე ანაზღაურება შეიძლება საბაზრო ფასის მიხედვითაც მოხდეს. მხოლოდ კანონმდებელია უფლებამოსილი, მესაკუთრისა და საზოგადოების ინტერესების „აწონ-დაწონით" განსაზღვროს ჩამორთმეული საკუთრების კომპენსაციის სახე და მოცულობა.
კანონმდებელი წინასწარ ყოველთვის ვერ განჭვრეტს და გადაწყვეტს თუ როგორ უნდა მოხდეს მომავალში „აწონ-დაწონის" სახით საკუთრების ჩამორთმევა ან მის რომელ კონკრეტულ შემთვევასთან გვექნება საქმე.
ამიტომ ვფიქრობთ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ასეთ შემთხვევაში ანაზღაურება საბაზრო ფასის მიხედვით დადგინდეს.
მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე უფრო ნაკლებად იქნება დაზარალებული, რაც აგრეთვე კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სამართლიანობასაც შეუწყობს ხელს.
2003-2012 წლებში „ნაციონალური მოძრაობის" (მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით) მმართველობის დროს მოხდა უამრავი ფაქტი კერძო საკუთრების ხელყოფისა.
ათეული ათასობით ადამიანს, მათ შორის ბიზნესმენებს, უკანონოდ წაართვეს კერძო საკუთრება, რითაც უხეშად დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული კერძო საკუთრების უფლება. რამაც გამოიწვია დიდი ვნებათაღელვა და უკმაყოფილება საზოგადოებაში.
2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა პარტია „ქართულმა ოცნებამ დემოკრატიული საქართველო" ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. ქვეყანა განთავისუფლდა სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობისაგან. ქონება წართმეულმა მოქალაქეებმა საჩივრით მიმართეს საქართველოს პროკურატურას, რომლებიც მოითხოვდნენ თავიანთი დარღვეული უფლებების აღდგენას, რითაც დაიწყო პროცესი სამართლიანობის აღდგენისა. მართალია ამ პროცესს დრო სჭირდება, რადგან, ერთბაშად ამდენი ქონების უკან დაბრუნება ვერ მოხდება, მაგრამ, რაც მთავარია, საქმე დაიძრა, რამაც მოქალაქეებს სამართლიანობის აღდგენის რწმენა დაუბრუნა.
თუ მოხდება სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევა, ანუ თუ ის უკანონოდ ჩაერევა მოქალაქის საკითრების სფეროში, ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულ, კორძო პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.
მესაკუთრის სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანომ, უნდა განიხილოს სახელმწიფოს მხრიდან საკუთრებაში ჩარევის კონსტიტუციურობის საკითხი.
ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველს ანუ მასშტაბს ზოგადად კონსტიტუცია, კერძოდ კი, მისი 21-ე მუხლი წარმოადგენს.

ამირან კურტანიძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, პირველი კლასის სახელწიფო მრჩეველი, სამართლის პროფესორი

ყველა ცალკეული ადამიანი რომ ერთნაირად აზროვნებდეს, კაცობრიობა ბორბლის გამოგონებით დაკმაყოფილდებოდა და განვითარების დღევანდელ დონეს ვერასოდეს მიაღწევდა.
მართალია, ჭეშმარიტება კამათში იბადება, მაგრამ იკამათო იმის შესახებ, რაც უკვე დადასტურებული ჭეშმარიტებაა, დროის ფუჭად ხარჯვაა და მეტი არაფერი.
განა გასაოცარი არ არის, როცა ახლადარჩეული ხელისუფალნი ჯერ თანამდებობრივ სკამზე არ დამჯდარან და ოპოზიციონერები კი მათი დამხობისთვის ირაზმებიან? კი მაგრამ ხელისუფლებამ ჯერჯერობით ისეთი რა დააშავა, რომ ის დავამხოთ?
როდემდე ვამხოთ და გვეყოლება თუ არა ოდესმე ისეთი ხელისუფლება, რომ ყველას მოეწონოს? ჯერ ხომ ის თაობა ცოცხალია, რომელსაც ახსოვს თუ იმ ძალებს, რომლებიც არჩევნებში დამარცხებას ვერ ეგუებიან, თუ ქვეყნისთვის კარგი უნდათ, უკეთესი იქნება, თავისი ბრძოლისუნარიანობა ხელისუფლების გვერდში დგომაში გამოიყენონ და არა მათ საწინააღმდეგო ხელისუფლების გვერდში დგომაში გამოიყენონ და არა მათ საწინააღმდეგო საქმიანობაში. ორივე მხარე ხომ ერთი სამშობლოს შვილები არიან.

ვითომც რატომ არის საშიში საკონსტიტუციო უმრავლესობა?

სამსჯელოს და საკამათოს რა გამოლევს, მაგრამ სხვისი აზრის არ მოსმენა, არ გაზიარება და მუდამ იმის მტკიცება, რომ მხოლოდ შენი შეხედულებაა ჭეშმარიტი, ქარაფშუტული ჯიუტობაა.
ოფთალმოლოგიაში არსებობს ტერმინი „დალტონიზმი", რაც მხედველობის ისეთ დაავადებას აღნიშნავს, როცა ავადმყოფი ვერ არჩევს ფერებს ერთიმეორისგან. თითქოს ეს უწყინარი დაავადებაა, მაგრამ წარმოიდგინეთ მოსალოდნელი შედეგი, როცა ასეთი მხედველობის მძღოლი შუქმნიშანში წითელ ფერს აღიქვამს მწვანედ და იმ იმედით, რომ საფრთხე არსაიდან ემუქრება, უშიშრად კვეთს გზაჯვარედინს.
მე პოლიტიკური დალტონიზმით დაავადებულები მინდა ვუწოდო ისეთ პოლიტიკოსებს, რომლებიც ცხოვრებაში ვერ ამჩნევენ ჭეშმარიტად არსებულ გარემოებას და ამტკიცებენ, რომ ის ისეთია, როგორიც მათ წარმოუდგენიათ, ან სურთ რომ იყოს.
მაოცებს ოპოზიციური სპექტრის სიჭრელე და ამავე დროს მათი ერთსულოვნება ხელისუფლების დასამხობად მზადყოფნაში.
რა უბედურება მოაქვს ქვეყნისათვის ხელისუფლების ძალით დამხობას.
საქართველოში, ბევრიც რომ მოინდომო და იდემოკრატო, დღეისთვის არსებული 220 პარტიისა და პოლიტიკური მოძრაობის თითო წარმომადგენელიც კი ვერ მოხვდება 150 კაციან პარლამენტში. გამოდის, რომ 70 პარტია და ე.წ. პოლიტიკური მოძრაობა ყოველთვის დარჩება პარლამენტგარე, მათი მხირდან ყოველთვის იქნება ყიჟინი არჩევნების გაყალბების შესახებ და მოწოდება ხელისუფლების დამხობისკენ.
მაოცებს დამარცხებული პოლიტიკური სპექტრის განწყობა და ვერ გამიგია თუ რატომ არის საშიში საკონსტიტუციო უმრავლესობა? ჩვენ ხომ გვახსოვს, არეულობის პროვოცირების ინიციატორი ყოველთვის აგრესიული უმცირესობა იყო.
დღევანდელი უმრავლესობა ხალხის მიერ არჩეული ინდივიდებისგან შედგება და თუ ხალხის წარმომადგენელთა საკრებულოში (პარლამენტში) ამ ინდივიდებს აერთიანებთ ერთნაირი კეთილშობილური მიზანი ქვეყნის განვითარებისა და მოქალაქეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში და ამის გამო აღმოჩნდნენ ერთიან გუნდში, რით არის ეს საშიში?
რა საფუძველი აქვს ვინმეს იფიქროს, რომ ამ უმრავლესობამ შეუზღუდავი უფლებების გამო შეიძლება ქვეყანა არასწორი გზით წაიყვანოს და უფსკრულში გადაგვჩეხოს?
განა ჩვენ ასეთ გაუხედნავებს დავადგით ქვეყნის მართვის უღელი და ტვირთი? „შეიძლებათი" რომ ვიმსჯელოთ, ყველაფერი შეიძლება ან არ შეიძლება მოხდეს.
ოცზე მეტი საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობის მომსწრე ვარ და არ მახსოვს რომელიმე მთავრობას ეთქვას ხელისუფლებაში რომ მოვალთ გაგანადგურებთ, გაგაღარიბებთ და გაგაუბედურეთო. ყველა აშენებას გვპირდებოდა, ყველა მუსკულებითა და მათრახებით უძღვებოდა ხალხს, ახლა, ძლივს ვეღირსეთ აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობას და ვეღარ ვჩუმდებით.
საინტერესოა, დღევანდელი ოპოზიციური ძალები რას გვპირდებიან ისეთს, რისი გაკეთებაც არ სურს დღევანდელ ხელისუფლებას? ნუთუ ჩვენს მიერ ახლადარჩეულმა ხელისუფლებამ არ იცის, რომ უპირველესი საზრუნავია მშვიდობიანი გზით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, თავდაცვისუნარიანობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ა.შ.
საკვირველი ისაა, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების გადაუჭრელობისათვის საყვედურს გამოთქვამს ის ძალა, რომლის ავანტურამაც გამოიწვია მისი დაკარგვა.
ნუთუ, კრიტიკოსების ხელისუფლებაში მოსვლით წელიწადში ორჯერ მოვა ყურძნის, ხილბოსტნეულის და მარცვლეულის მოსავალი?
მინდა ვურჩიო მოსალოდნელი ერთპარტიული მმართველობისთ შეშინებულებს, რომ გაარჩიონ განსხვავება ერთპარტიულ და ერთპიროვნულ მმართველობას შორის.
პირველად საკითხავი ისაა, რომ რატომ თვლიან დღევანდელ პარლამენტს ერთპარტიულად, როცა იგი დაკომპლექტებულია ოთხი სუბიექტისგან?
ერთპარტიულიც რომ იყოს, რა იქნებოდა საგანგაშო, თუ პარტიის შიგნით გაიმართებოდა გულახდილი მსჯელობა და საკითხების გადაწყვეტის გზაც დემოკრატიულად მოხდებოდა? ბევრი სხვადასხვა აზრის მოსმენა და განხილვა სჯობია ერთპიროვნულ მმართველობას, რომელმაც მრავალჯერ და მრავალ უბედურებას გადაგვყარა. მთავარია, რომ განსხვავებული აზრი არ იყოს მიჩნეული როგორც გუნდიდან განდგომა და ღალატი, არ იწვევდეს იგი

(დასასრული V გვერდზე)

ვითომც რაფომ არის საშიში საკონსტიტუციო უმრავლესობა?

(დასასრული)

უსაზღვრო გაღიზიანებას, სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებებს, გუნდს ჰქონდეს გაწონასწორებულად მუშაობის და კონსესუსის მიღწევის შესაძლებლობა.

ჩვენ მომსწრენი ვართ საპარლამენტო აურზაურის და ცემა-ტყეპისა, რაც უფლბას მაძლევს გავაკეთო დასკვნა:

საშიშროებას წარმოადგენს არა საკონსტიტუციო უმრავლესობა, არამედ ისეთი აგრესიული საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც პოლიტიკური დალტონიზმითაა დაავადებული, ხელისუფლების მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი და გაკეთებული არც ერთი კარგი საქმე არ მოსწონს, ცდილობს გააბიაბუროს მისი დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე, სახელი გაუტეხოს მას ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც.

ასეთი აგრესიული დეპუტატები ერთპიროვნული მმართველის წნეხის ქვეშიდან ჯერ კიდევ ვერ გამომძვრალი პირები არიან, შესანიშნავად იციან, რომ გაკულტებამდე მისული მათი ლიდერისთვის დეპუტატთა აზრი არაფერს წარმოადგენდა, მისგან დღეს გადმოსროლილი წინადადება ხვალ უკვე კონსტიტუციაში იყო შეტანილი და დაკანონებული. ისიც კარგად იციან, რომ კოსტიტუციის, ცალკეული კანონების, სხვა მრავალი არეულ-დარეულობის თანამონაწილენი არიან და ამისთვის პოლიტიკური, მორალური თუ სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამიტომაც თავდაცვის მიზნით შეტევაზე გადადიან, მაგრამ არ არსებობს ძალა, რომელიც მზის ჩასვლა-ამოსვლას შეაჩერებს.

ვფიქრობ, ნეტავი როგორ დასაბან საშუალებას ხმარობენ ასეთები, რომ ასე გაირეცხენ სინდის-ნამუსისაგან, როგორ შეუძლიათ რომ მათ მიერ უკანონობით გაწამებულ ათასობით თანამოქალაქეს თვალებში შეხედონ და ვინმეს დაუმსახურებელი კრიტიკა ამოუშვან პირიდან.

სიძულვილის ენით ლაპარაკი რომ არ დამწამონ, კიდევ ერთჯერ ვიტყვი, რომ უპატივცემული სიტყვები მიმართულია არა ყველა ყოფილ საჯარო მოხელისადმი, რომელთა დიდ ნაწილს პიროვნულად პატივს ვცემ, არამედ თხუთმეტიოდე მოლიდერო პიროვნების მიმართ, რომლებიც ლიდერებად ასაღებდნენ თავს, სინამდვილეში კი ყურმოჭრილი მონები იყვნენ იმ თავქარიანი ხელმძღვანელისა, რომელმაც ისინი გაორებულ პიროვნებად აქცია. ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთთა პერსონალურ სიას არ ვასახელებ.

ვაღიარებ, რომ ღრმად არ ვარ ინფორმირებული მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების არსებობის დაფინანსების წყაროების შესახებ, მაგრამ ის კი მიკვირს, რომ ჩვენი ხელისუფლება სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე აფინანსებს ოპოზიციურ პარტიებს. გამოდის, რომ ხელისუფლება ან დაჯავშნული ტანსაცმლითაა შემოსილი და არ ეშინია თავდასხმებისა, ან ფუჭ (ტყვიის გარეშე) ვაზნებს ურიგებს მოწინააღმდეგე მხარეს ისეთი სცენარის გათამაშებისათვის, როგორსაც სამხედრო პირები ასრულებენ სასწავლო მეცადინეობის დროს და ქმნიან ბრძოლის იმიტაციას. „ხალასტოი“ ვაზნების სროლას მხოლოდ ხმაური შეუძლია და არა მოწინააღმდეგის დაზიანება, ასეთია ომობანას ანა-ბანა.

მებადება კითხვა: სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს თუ არა ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებსაც შენიღბული პატრიოტიზმით დეზორგანიზაცია შეაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუდმივად უქმნიან ხელისუფლებას პრობლემებს?

ჩემი პასუხი ასეთია: პოლიტიკური პარტიები უნდა არსებობდნენ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე, რომლის წყარო უნდა იყოს პარტიის წევრთაგან საწევრო შენატანები და, სურვილის შემთხვევაში, მათგან ნებაყოფლობითი შენაწირები.

და კიდევ, ერთი კითხვა: თუკი ეკლესია, რომელიც ისტორიულად ასრულებდა და დღესაც ასრულებს ერის განწმენდისა და გამაერთიანებლის როლს, გამოყოფილია სახელმწიფოსგან, რატომ არ შეიძლება სახელმწიფომ ხელი შეუშალოს მოქალაქეთა ისეთი გაერთიანებების მოღვაწეობას, რომლებიც ეწევიან ეროვნული ტრადიციების და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას, რითაც ხელს უწყობენ ახალგაზრდების სულიერ და მორალურ მერყეობას? განა ეს დიქტატურა იქნება? თავაშვებულებს ხომ ყველა ქვეყანაში ბოჭავენ და ეს კეთდება ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით.

ასეთი არასამთავრობო, არასახელმწიფოებრივი, არაკანონიერი და ფანატიკურად განწყობილი დაჯგუფებანი წარმოადგენენ ძმრის ისეთ წვეთს, რომლის შერევითაც შესაძლებელია მთელი კასრი ღვინის დაძმარება-გაფუჭება.

ძმარიც საჭიროა, მაგრამ ის ცალკე ჭურჭელში უნდა ინახებოდეს, თანაც ჯანმრთელი ღვინიდან მოშორებით. ასევე საჭიროა ჯანმრთელი და ავადმყოფი არსებების დაშორიშორება, ჯანმრთელი და არეული აზრების ისეთ დონემდე გაფილტვრა, რომ ბოლოს და ბოლოს გვეღირსოს დამშვიდებულად ცხოვრების შესაძლებლობა.

ჩემო თანამოქალაქენო, გვეყო აურზაურიანი პარლამენტის შენახვა და მივცეთ კონსტიტუციურ უმრავლესობას იმის საშუალება, რომ აუჩქარებლად და ზედმეტი ხმაურის გარეშე მიიღოს ქვეყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებანი.

მჯერა, ჩვენს მიერ არჩეული კონსტიტუციური უმრავლესობა არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის წელში გამართვა, მოქალაქეტა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და იგი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ჯანსაღი პოლიტიკური მიმდინარეობისთვის, მითუმეტეს, რომ ახლა ერთმმართველობა ბოლომოღებულია.

ჯანსაღი კრიტიკაც კი აუცილებელი არ არის, რომ ტელეეკრანებიდან იფრქვეოდეს. საჭიროა კომუნიკაციების სხვა საშუალებების გამოყენება, უპირველესად კი, პირადი შეხვედრები როგორც მასებთან, ასევე ცალკეულ პიროვნებებთან.

მე რომ ხელისუფალი ვიყო, შევქმნიდი საზოგადოებრივი აზრის კოორდინაციის სამსახურს, სადაც როგორც სახელმწიფოს ხარჯზე, ასევე ნებაყოფლობით საწყისებზე გავაერთიანებდი საღად მოაზროვნე, ნიჭიერ, პოლიტიკურად ნეიტრალურ თანამოქალაქეებს, ექსპერტებს და რეგულარულად, კვირაში ერთჯერ მოვისმენდი მათ დასკვნებს პრიორიტეტულ და სხვა ნებისმიერი საკითხების ირგვლივ, რომელსაც სვამს ცხოვრება.

იქნებ ეს აზრიც იმსახურებს ყურადღებას?

რევაზ გრიგალაშვილი

- განათლება -

ღღეები, რომლებიც არასოდეს გავიწყდება

რუსუდან დოფიძეზე ჯერ კიდევ მაშინ გიამბეთ, როდესაც დიდ ბრიტანეთში წასასვლელად ემზადებოდა, სადაც ოქსფორდის საზაფხულო სკოლაში ინგლისური ენა უნდა შეესწავლა. ამ თავბრუდამხვევ მოგზაურობას მასთან ერთად ჩვენც მოუთმენლად ველოდით და გვიხაროდა ის ფაქტიც, რომ ჩვენს რაიონსაც ეყოლებოდა ერთი „ტემზადალეული” ახალგაზრდა. რუსუდანი რა ხანია უკვე დაუბრუნდა მშობლიურ ხაშურს, უფრო მეტად გაზრდილი და გამოცდილი. ჩვენც, რა თქმა უნდა განმეორებითი შეხვედრის მოწყობა აღარ დავაყოვნეთ, ამასთან, გავიგეთ ისიც, რომ პოლონეთშიც იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით.

რუსუდან დოფიძე: პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ პირველი გასვლა იყო ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ნამდვილად, ამაღელვებელი განცდა მქონდა. ლონდონში ჩასულებს ჰედინგტონის სკოლის მასწავლებლები მეტად პოზიტიური განწყობით დაგხვდნენ, რომელი განწყობაც მთელი სამი კვირა თან გაგვყვა. ჰედინგტონის სკოლა – უზარმაზარი კომპლექსია, უამრავი განყოფილებით, სწორედ აქ ვცხოვრობდით და ვსწავლობდით. დღეში სამი საათი გვიტარდებოდა ინგლისურის ენის გაკვეთილები, უმეტესწილად თავისუფალი გრაფიკი გვქონდა, კვირაში ორჯერ დავდიოდით ექსკურსიებზე. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, პირველ რიგში, ბრიტანელმა ხალხმა მოახდინა, საოცრად გახსნილი და მოსიყვარულე ერი აღმოჩნდა. ასევე, ბიგ ბენი იყო საოცარი, სხვათაშორის, რეალურად, გაცილებით უფრო გრანდიოზული და დიდებულია. შევიძინე უამრავი მეგობარი და გარდა იმისა, რომ ინგლისური ენის ცოდნის დონე მკვეთრად გამიუმჯობესდა, მივხვდი, სხვა ქვეყანაში მოგზაურობისას თუ რა საოცარი განცდა ეუფლება ადამიანს, ესაა განცდა შენთვის სრულიად უცხოსთან და უნიკალურთან ზიარების, განცდა რომელიც მთელი ცხოვრება თან გსდევს. რაც შეეხება, პოლონეთს, აქ თავად ჩემ სკოლას ჰქონდა პოლონეთის სკოლასთან გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც პოლონელმა მოსწავლეებმაც მოინახულეს საქართველო და ჩვენც, შესაბამისად, ვიმყოფებოდით მათ ქვეყანაში. პოლონეთშიც უამრავი ადგილი და ღირსშესანიშნაობა დავათვალიერეთ და პარალელურადაც, პოლონელ ახალგაზრდებსაც ხშირად უწყბდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსკურსიებს, ასე რომ ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩით, ეს პროგრამა მეორე წელია რაც მოქმედებს და ვიმედოვნებ, კვლავ გაგრძელდება, რადგან ხელს უწყობს ამ ორი მოძმე ერის კიდევ უფრო დაახლოებას და დამეგობრებას.

ვულოცავთ რუსუდანს ამ საოცარ მიღწევებს და ვიმედოვნებთ, მისთვის 2017 წელი, კიდევ უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იქნება.

თ. ახალკაცი

ასე შეეგება ხაშური 2017 წელს

უკვე კარგ ტადიციად დამკვიდრდა-მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალ წელს საზეიმო კონცერტით ხვდება. იზრდება კონცერტის მასშტაბებიც. წელს, როგორც დაანონსებული იყო,ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ,განსაკუთრებული საახალწლო კონცერტი აჩუქა ხაშურელებს. გაიზარდა შემსრულებელთა რიცხვი, მონაწილეობდნენ, როგორც ადგილობრივი შემსრულებლები: ნინი მალხაზიშვილი, ჯგუფი "Spam jam". აგრეთვე, მოწვეულებიც: "Crown" თამარ ჯგუშიასთან ერთად, თამარ ქოროღლიშვილი და გიორგი ბუშელაშვილი კონცერტის წაყვანის პატივი ანნა შარვაძეს ერგო. კონცერტი 22:00 საათზე დაიწყო და გვიანობამდე გაგრძელდა. საახალწლო განწყობის შესაქმნელად მზადება კულტურის სამსახურმა ადრიანად დაიწყო, იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტის მოსხლეობას ერთად ეზეიმათ ახალი წლის დადგომა. სიცივის მიუხედავად, განწყობა ნამდვილად საახალწლო და ამაღლებული იყო.

კონსტანტინე ფრუიძე(განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი):-განსაკუთრებულად კარგი საახალწლო კონცერტი გვინდოდა გამოსულიყო, ამისათვის ძალისხმევა არ დაგვიზოგავს, ვფიქრობ, შედეგი სახეზეა და მოსახლეობაც დამეთანხმება. მინდა, მივულოცო ჩემს ქვეყანას, მუნიციპალიტეტს,მშვიდობა და კეთილდღეობა ვუსურვო,დანარჩენს ერთად,ერთმანეთის გვერდში დგომით შევძლებთ.

გიორგი ხაჩიძე- წელს პირველად ვხვდები ქუჩაში მეგობრებთან ერთად, ვიცოდი, რომ კარგი კონცერტი იქნებოდა, კმაყოფილებას ვერ ვმალავ. ძალიან მომეწონა მოწვეული შემსრულებლებიც, სცენაც. იმედია, მომავალ წელსაც შევინარჩუნებთ იმ ტემპს,რომელითაც ხაშურის კულტურული ცხოვრება მიდის. გილოცავთ, შობა-ახალ წელს!

მაგდა ბლიაძე-ადრე ყოველთვის სახლში, ოჯახურ გარემოში ვხვდებოდით

ახალ წელს, ბოლო წელია, ჩემს ოჯახთან ერთად, საახალწლო კონცერტზე მოვდივართ და კარგი განწყობით ვბრუნდებით სახლში. ძალიან ლამაზია ხაშური, უამრავი ფერადი ნათურა, ნაძვისხე, ღონისძიებები თითქმის ყველა ასაკისთვის. მიხარია, რომ ჩემი საყვარელი მომღერლების მოსმენა და გაცნობაც კი მოვახერხე. აი, ესაა ჩემი ახალი წელი.

და რადგან ახალ წელსაც თავისი დასასრული აქვს, როგორც ყველაფერ კარგს ბუნებაში, საახალწლო ზეიმიც დასრულდა, დასრულდა ფერადად და პომპეზურად, ათასფერი ფოიერვერკები ანათებდა ჩვენი ქალაქის ცას და ხვალინდელი დღის გათენებას ამცნობდა ხაშურს.

სალამო, რომელიც ცნობილმა ბარიტონმა მშობლიურ ქალაქს მიუძღვნა

ამ დღეებში,ხაშურის გამგეობისხელშეწყობით,ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, 3 საოპერო მომღერლის, ლევან ტაბატაძის კონცერტი გაიმართა. დიდი ხნის მოლოდინისა და ვნებათაღელვის შემდეგ,ლევანი მშობლიური ქალაქის სცენაზე, საკუთარი შემოქმედებით წარსდგა მსმენელის წინაშე. კონცერტს უძღვებოდა ხელოვანი რევაზ კოშკაძე. დასაწყისში ბატონმა რევაზმა, ლევანის,როგორც საოპერო მომღერლის,ნიჭზე,მომავალზე ისაუბრა,გაიხსენა მასთან შეხვედრის მომენტები. მცირე გაცნობითი რაკურსის შემდეგ,სცენაზე ლევანი გამოვიდა, თავის მეგობრებთან გიორგი მოციქულაშვილთან და გიორგი რეხვიაშვილთან ერთად,რომლებმაც მეტი მრავალფეროვნება შესძინეს საღამოს. გაიხსენეს ლევანის ბავშვობა, დასაწყისი, პირველი ნაბიჯები, ჯერ კიდევ მშობლიური ქვიშხეთიდან, ბატონი გია ბოლოკაძის დამსახურება, გორის მუსიკალური სასწავლებელი, ის ადამიანები, რომლებმაც მიმართულება მისცეს კონსერვატორიამდე, საიდანაც დაიწყო გზა დიდი ოპერისაკენ. ეს არ იყო მხოლოდ სიმღერა, ეს იყო კონტაქტი მსმენელთან, საუბრები იმ გზებზე, რომელსაც ლევანი ნელ-ნელა, ეტაპობრივად გადის იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც აყალიბებენ მის პიროვნულ თუ სამსახიობო ხასიათს. ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით გამოარჩევს მის პედაგოგს, დიდ მეგობარს, თენგიზ მუშკუდიანს, რომელმაც ხელოვნებისა და საკუთარი სახლის კარი გაუღო ქვიშხეთიდან ჩასულ მარტოხელა პერსპექტიულ სტუდენტს. პროფესორ-მასწავლებლებმა ისაუბრეს ლევანის პიროვნულ ხასიათზე, შრომისმოყვარეობაზე და მიზანდასახულობაზე.

კონცერტზე შესრულდა ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ჯუზეპე ვერდის, ჯორჯ ბიზეს, ჯაკომო პუჩინის და სხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

კეთილი ადამიანები - ბავშვების გვერდით

ერის მომავალი სკოლაში იჭედება. როგორც განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში ვკითხულობთ, სახელმწიფოს პირველ რიგის ამოცანაა სრულყოფილი განათლების სისიტემის შექმნა და სკოლაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე პიროვნების აღზრდა- ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

სკოლის დახმარება და ხელშეწყობა ნებისმიერი ადამიანის მხრიდან მისი წვლილის შეტანაა ერის მომავლის შენებაში. სასიხარულოა, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც კარგად ესმით ეს უბრალო ჭეშმარიტება და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარებიან მშობლიურ სკოლებს. გვინდა მოსწავლეების,მათი მშობლებისა და პედკოლექტივების სახელით მადლობა გადავუხადოთ ბატონ ნიკოლოზ (ნუკრი) გელაშვილს, რომელმაც საახალწლოდ პიანინო აჩუქა ალის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. ეს კურსდამთავრებულთა მხრიდან პირველი დახმარება არ არის სკოლისათვის, ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა გიორგი ნოზაძემ სკოლის პანდუსისა და შიდა ინტერიერის რემონტისათვის უსასყიდლოდ შეასრულა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

ღმერთმა უმრავლოს ასეთი ადამიანები ჩვენს პატარებს, ეს სამყარო ხომ ერთმანეთის თანადგომითა და სიყვარულით არსებობს.

ალის საჯარო სკოლის დირექცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.